



**პ მ-ის განცხადების საფუძველზე სსიპ - საქართველოს კონკურენციის
ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 12 ივნისის N04/317 ბრძანების
შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული
გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ**

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17¹ მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის 1-ელი პუნქტის, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-17 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს პ მ-ის განცხადების საფუძველზე სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 12 ივნისის N04/317 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე გადაწყვეტილება, თანდართული სახით.
2. დადასტურდეს შპს „ლითენ თრიის“ (ს/ნ 405026065) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-17 მუხლის 1-4 პუნქტების დარღვევის ფაქტი.
3. კანონდარღვევის აღმოფხვრის მიზნით შპს „ლითენ თრიის“ (ს/ნ 405026065) დაევალოს 1 (ერთი) თვის ვადაში აღადგინოს მომხმარებელთა დარღვეული უფლებები და შეუსაბამოს თავისი სავაჭრო პოლიტიკა კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-17 მუხლის 1-4 პუნქტების მოთხოვნებს.
4. შპს „ლითენ თრიის“ (ს/ნ 405026065) დაევალოს, ბრძანების მე-3 პუნქტის შესაბამისად განხორციელებული ქმედების თაობაზე სსიპ - საქართველოს




კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია ამავე პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

5. ეს ბრძანება, თანდართულ გადაწყვეტილებასთან ერთად, გაეგზავნოთ მხარეებს და გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
6. სააგენტოს გადაწყვეტილება მისი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გაცნობიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის:თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64). დარღვევის დადგენის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების გასაჩივრება სააგენტოს არ ართმევს უფლებას, განახორციელოს კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება და მოვაჭრეს დააკისროს შესაბამისი ჯარიმა.
7. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვიანიძე

თავმჯდომარე





სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს

გადაწყვეტილება

პ. მ-ის განცხადების საფუძველზე სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 12 ივნისის №04/317 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე

თბილისი

2023

სარჩევი

<i>თავი 1. აღწერილობითი ნაწილი.....</i>	<i>2</i>
1.1 განმცხადებლის პოზიცია	2
1.2. მოვაჭრის პოზიცია.....	2
<i>თავი 2. ნორმატიული რეგულირება.....</i>	<i>5</i>
<i>თავი 3. სამოტივაციო ნაწილი.....</i>	<i>10</i>
<i>თავი 4. სარეზოლუციო ნაწილი.....</i>	<i>23</i>

თავი 1. აღწერილობითი ნაწილი

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) 2023 წლის 15 მაისს წარმოდგენილი იქნა პ. მ-ის (პ/ნ) (შემდგომში - მომხმარებელი) N01/1604 განცხადება შპს „ლითენ თრიის“ (ს/ნ 405026065) (შემდგომში - მოვაჭრე/კომპანია) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

ზემოაღნიშნული განცხადების საფუძველზე, სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 12 ივნისის N04/317 ბრძანებით დაიწყო საქმის შესწავლა კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.

1.1 განმცხადებლის პოზიცია

პ. მ-ის 2023 წლის 15 მაისის N01/1604 განცხადებაში აღნიშნულია, რომ მომხმარებელმა ავეჯის სალონ „ლითენ თრიის“ შეიძინა ჯამში 3830 ლარის ღირებულების მაგიდა და სკამები. შეკვეთის მიღების შემდგომ, შეძენილ მაგიდას აღმოაჩნდა ნაკლი, კერძოდ მაგიდის ზედაპირი იყო დაზიანებული, მომხმარებლის პოზიციის მიხედვით, მსგავსი დაზიანება მაღაზიაში მაგიდას არ ჰქონია, ხოლო ნაკლის აღმოჩენა კომპანიის თანამშრომლების თანდასწრებით შეძენილი საქონელის დათვალიერების დროს მოხდა. მომხმარებელმა მიმართა მოვაჭრეს ნაკლიანი საქონლის შეცვლის ან დაბრუნების მოთხოვნით, თუმცა მოვაჭრემ რეაგირება არ მოახდინა მომხმარებლის ამ მოთხოვნაზე.

განმცხადებლის პოზიციით, შპს „ლითენ თრიის“ (ს/ნ 405026065) ქმედებები არღვევს კანონის მოთხოვნებს.

1.2. მოვაჭრის პოზიცია

სააგენტოს 2023 წლის 17 მაისის N02/1299 წერილით, მოვაჭრეს ეცნობა განმცხადებლის მოთხოვნის თაობაზე და განესაზღვრა 5 სამუშაო დღე განცხადებაში აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით პოზიციის წარმოსადგენად. ამავე წერილით სააგენტომ

შპს „ლითენ თრისგან“ (ს/ნ 405026065) გამოითხოვა ინფორმაცია კომპანიის კომერციული საქმიანობისას მომხმარებელთან ურთიერთობის წესების და პირობების ერთობლიობის (შემდგომში -სავაჭრო პოლიტიკა) თაობაზე მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების დადგენილი სტანდარტის (მათ შორის, კანონისმიერი გარანტიის თაობაზე მომხმარებლის ინფორმირების შესახებ) და ნივთის შეცვლა/დაბრუნების თაობაზე კომპანიის მიერ შემუშავებული სტანდარტული პირობების შესახებ.

2023 წლის 17 მაისის N02/1299 წერილით მოთხოვნილი ინფორმაცია მოვაჭრეს სააგენტოსთვის არ წარმოუდგენია.

სააგენტოს 2023 წლის 13 ივნისის N02/1561 წერილით მოვაჭრეს ეცნობა პ მ-ის განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე და დაევალა სააგენტოსთვის სრული სახით წარმოედგინა კომპანიის სავაჭრო პოლიტიკა.

2023 წლის 13 ივნისის N02/1561 წერილით მოთხოვნილი ინფორმაცია მოვაჭრეს სააგენტოსთვის არ წარმოუდგენია.

2023 წლის 14 ივნისს, მოვაჭრემ N01/1984 წერილით სადავოდ გახადა განცხადებაში აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები. 2023 წლის 14 ივნისს, მოვაჭრემ N01/1984 წერილით მოითხოვა განმარტება მიეღო საქმის შესწავლის დაწყების სამართლებრივი საფუძველთან დაკავშირებით.

2023 წლის 19 ივლისს N02/1910 წერილით, სააგენტომ მოვაჭრისგან კვლავ გამოითხოვა შპს „ლითენ თრის“ სავაჭრო პოლიტიკა შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულებებით.

2023 წლის 25 ივლისს, მოვაჭრემ N01/2481 წერილით სააგენტოს აცნობა, რომ არ ეთანხმება განმცხადებლის მოთხოვნას ნაკლიან საქონელთან დაკავშირებულ ვალდებულებასთან მიმართებაში, აგრეთვე არასწორად მიიჩნევს მომხმარებლის მითითებას იმის თაობაზე, რომ მომხმარებელი ნივთის (მაგიდის) ნაკლის აღმოჩენის შემდგომ დაუკავშირდა კომპანიას ნივთის გადაცვლასთან დაკავშირებით და აღნიშნულზე უარი მიიღო, თუმცა ამ ფაქტის უარყოფის დამადასტურებელი მტკიცებულება მოვაჭრეს სააგენტოსთვის არ წარმოუდგენია, ასევე არ მოუწოდებია მოვაჭრეს მომხმარებლისთვის ნაკლიანი ნივთის შეცვლის/შეკეთების შეთავაზების დამადასტურებელი მტკიცებულება.

2023 წლის 25 ივლისს, მოვაჭრემ N01/2473 წერილით სააგენტოს წარმოუდგინა შპს „ლითენ თრის“ გაყიდვების კონსულტანტის ახსნა-განმარტება, რომლის თანახმადაც მომხმარებლის მიერ შეძენილი მაგიდა წარმოდგენდა შოურუმში განთავსებულ ე.წ.

საჩვენებელ მოდელს , შესაბამისად, ლოგიკური იყო რომ მას ჰქონოდა ნაკაწრები, რადგან მომხმარებელს რომელიც ათვალისწინებს შოურუმში განთავსებულ საქონელს და გადაწყვეტს მის შეძენას უნდა ევარაუდა, რომ შეძენილი საქონელი არ იქნებოდა უხარვეზო.

კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, შექენამდე 3 მ-მა დაათვალისწინა სასურველი ნივთები, თუმცა მოვაჭრის მიერ წარმოდგენილი არ არის მტკიცებულებები თუ რამდენად სრულად ეცნობა მომხმარებელს ინფორმაცია შექენილი საქონლის თაობაზე ან ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში კანონით განსაზღვრული მოვაჭრის ვალდებულებების შესახებ.

მოვაჭრე ზემოთმითითებული წერილით აღნიშნავს, რომ შექენიდან მეორე დღეს მომხმარებელმა მიმართა კომპანიას ნაკლთან დაკავშირებით და მოითხოვა ნივთის შეცვლა ან დაბრუნება. მომხმარებლის ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით მოვაჭრის მიერ სააგენტოში წამოდგენილ ახსნა-განმარტებაში [2023 წლის 25 ივლისის N01/2473 წერილი, შპს „ლითენ თრიში“ დასაქმებულის, გაყიდვების კონსულტანტის ახსნა-განმარტება] იკითხება, რომ *„შექენამდე მოვაჭრემ კიდევ ერთხელ სთხოვა მომხმარებელს დაეთვალისწინებინა ნივთი, რომ შემდეგში რაიმე პრეტენზია არ ჰქონოდა“*, ამასთან, წერილში მითითებულია, რომ მომხმარებელს შესთავაზეს შოურუმში არსებული იგივე მოდელის დათვალისწინება და შეცვლა, თუმცა მომხმარებელმა ამაზე უარი განაცხადა.

2023 წლის 31 ივლისს, მოვაჭრემ N01/2531 წერილით სააგენტოს აცნობა, რომ ბუნდოვანი იყო მომხმარებლის მოთხოვნა და ასევე, სახეზე არ იყო მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესის დარღვევა. 2023 წლის 2 აგვისტოს, მოვაჭრემ N01/2570 წერილით იგივე შინაარსის ინფორმაცია მიაწოდა რაც 2023 წლის 31 ივლისს N01/2531 წერილით. ამასთან აღსანიშნავია, რომ სააგენტოში წარმოდგენილი კორესპონდენციებით მოვაჭრეს არ წარმოუდგენია სააგენტოსთვის სავაჭრო პოლიტიკა.

2023 წლის 9 აგვისტოს N01/2651 წერილით, 3. მ-ის წარმომადგენელმა სააგენტოს აცნობა, რომ კომპანიას მაღაზიაში ნივთის დათვალისწინებისას არც მომხმარებელს და არც კომპანიის თანამშრომელს ნაკლი არ აღმოუჩენია, ასევე არანაირი ინფორმაცია არ ჰქონია განმცხადებელს ხარვეზიანი ნივთის შექენის თაობაზე, სრულად ინფორმირების შემთხვევაში მომხმარებელი ან არ შეიძენდა ნივთს ან სათანადო თანხმობას განაცხადებდა ნაკლიანი ნივთის შექენის თაობაზე.

2023 წლის 11 აგვისტოს სააგენტომ N02/2159 წერილით მოვაჭრეს კიდევ ერთხელ მოსთხოვა სრული სახით წარმოედგინა კომპანია „ლითენ თრის“ სავაჭრო პოლიტიკა.

2023 წლის 29 აგვისტოს მოვაჭრემ N01/2869 წერილით სააგენტოს კომპანიის სავაჭრო პოლიტიკასთან დაკავშირებით აცნობა, რომ „ონლაინ ვებ-გვერდზე გვაქვს განთავსებული ინფორმაცია, ასევე შოურუმში შესაბამისი წესით. კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო ნივთის დაბრუნება ხორციელდება ასევე კანონმდებლობის შესაბამისად.“

სავაჭრო პოლიტიკა, რაც მოვაჭრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად შესაბამისია საქართველოს კანონმდებლობასთან, სააგენტოსთვის შესაფასებლად არც ამ წერილით წარმოუდგენია მოვაჭრეს.

2023 წლის 22 სექტემბრის N01/3190 წერილით, მოვაჭრემ სააგენტოს წარმოუდგინა კომპანიის გაყიდვის ობიექტში საქონლის/პროდუქტის შეძენის/შეცვლის და დაბრუნების წესი, თუმცა არ წარმოუდგენია სავაჭრო პოლიტიკა სრული სახით, სადაც გაწერილი უნდა ყოფილიყო კანონით გათვალისწინებული მოვაჭრის მიმართ დადგენილი მოთხოვნები.

2023 წლის 2 ოქტომბრის N02/2634 წერილით, სააგენტომ მოვაჭრეს მოსთხოვა ინფორმაცია იმის თაობაზე შედგა თუ არა კომუნიკაცია მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის შეძენილი საქონლის ნაკლის გამოსწორების თაობაზე განსახორციელებელი ქმედებების შესახებ მას შემდეგ, რაც პ. მ-მა ნივთის ნაკლთან დაკავშირებით პრეტენზია წარუდგინა მოვაჭრეს.

2023 წლის 10 ოქტომბრის N01/3382 წერილით, მოვაჭრემ სააგენტოს აცნობა, რომ კომპანიამ გულისხმიერების გამოჩენის მიზნით, შესთვალა მომხმარებელს ადგილზე მოსვლა და ნივთის ჩანაცვლება, რაზედაც უარი მიიღო.

2023 წლის 11 ოქტომბრის N02/2732 წერილით სააგენტომ პ. მ-ის წარმომადგენლისგან გამოითხოვა ინფორმაცია იმის თაობაზე შედგა თუ არა კომუნიკაცია მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის შეძენილი საქონლის ნაკლის გამოსწორების თაობაზე განსახორციელებელი ქმედებების შესახებ მას შემდეგ, რაც პ. მ-მა ნივთის ნაკლთან დაკავშირებით პრეტენზია წარუდგინა მოვაჭრეს.

2023 წლის 17 ოქტომბრის N01/3522 წერილით პ. მ-ის წარმომადგენელმა სააგენტოს აცნობა, რომ ნივთის შეცვლის ან დაბრუნების თაობაზე მომხმარებლის პრეტენზიაზე კომპანიას არანაირი რეაგირება არ განუხორციელებია.

თავი 2. ნორმატიული რეგულირება

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება ხაზს უსვამს მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფისა და მომხმარებელთა დაცვის თავიანთ სისტემებს შორის თავსებადობის კუთხით თანამშრომლობის მნიშვნელობას.

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში-კანონი) მიზანია მომხმარებლის უფლებების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა და მომხმარებლის პატივისცემაზე დამყარებული ქცევის კულტურის ხელშეწყობა. მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების თაობაზე არსებული კანონის ნორმები უზრუნველყოფს მომხმარებლის უფლებას, საქონლის/მომსახურების შეძენამდე „ინფორმირებული არჩევანის“ ფარგლებში მიიღოს შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილება.

კანონის მე-2 თავი განსაზღვრავს მომხმარებლის უფლებებსა და ვალდებულებებს, კერძოდ, ინფორმირებასთან, საქონლის მიწოდებასთან, შემთხვევით დალუპვას, გაფუჭებასა და დამატებით ხარჯებთან დაკავშირებულ უფლებებსა და მოვალეობებს.

კანონით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების დადებამდე მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს *საქართველოს სახელმწიფო ენაზე, მკაფიოდ და გასაგებად* მიაწოდოს შემდეგი *უტყუარი და სრული ინფორმაცია*. ეს ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

ა) საქონლის ან მომსახურების დასახელების, მწარმოებლისა და საქონლის ან მომსახურების შესაბამისი არსებითი მახასიათებლების შესახებ, ინფორმაციის მატარებლის სპეციფიკის (მათ შორის, ზომის, შესაძლებლობების) გათვალისწინებით;

ბ) მოვაჭრის ვინაობის (სახელწოდების) და მისამართის (იურიდიული მისამართის) შესახებ; არსებობის შემთხვევაში – მოვაჭრის ელექტრონული ფოსტის მისამართის, ფაქსისა და ტელეფონის ნომრების თაობაზე, რომელთა მეშვეობითაც მომხმარებელს შეეძლება მოვაჭრესთან სწრაფი და ეფექტიანი კომუნიკაცია; არსებობის შემთხვევაში – იმ მოვაჭრის საკონტაქტო ინფორმაცია, რომლის სახელითაც მოქმედებს აღნიშნული პირი;

გ) არსებობის შემთხვევაში – საქონლის შეცვლის, შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ობიექტის დასახელების შესახებ და მისი მისამართის თაობაზე, თუ ის განსხვავდება ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული მისამართისგან;

დ) საქონლის ან მომსახურების ფასის შესახებ, ძირითადი ხარჯებისა და დამატებითი ხარჯების (მათ შორის, ტრანსპორტირების, გადაგზავნის, მონტაჟისა და სხვა) მითითებით, ხოლო თუ, საქონლის ან მომსახურების ბუნებიდან გამომდინარე, აღნიშნული ფასის წინასწარ გამოთვლა შეუძლებელია – მისი გამოთვლის წესის თაობაზე და ინფორმაციას იმის შესახებ, რომ შეიძლება დამატებითი ხარჯები წარმოიშვას;

ე) არსებობის შემთხვევაში – გადახდის, საქონლის ან მომსახურების მიწოდებისა და ვალდებულების შესრულების პირობების შესახებ და მოვაჭრის მიერ მომხმარებლის მოთხოვნის განხილვის წესის თაობაზე;

ვ) კანონისმიერი გარანტიის შესახებ, არსებობის შემთხვევაში – კომერციული გარანტიის თაობაზე, აგრეთვე მომხმარებლისთვის შემდგომი მომსახურების გაწევის პირობების შესახებ;

ზ) არსებობის შემთხვევაში – ხელშეკრულების მოქმედების ვადის შესახებ, ხოლო თუ ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით არის დადებული ან ავტომატურად გრძელდება – ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების თაობაზე;

თ) არსებობის შემთხვევაში – მომხმარებლის ვალდებულებებისა და მათი შესრულების მინიმალური ვადის/მოქმედების ხანგრძლივობის შესახებ;

ი) ციფრული შინაარსის ფუნქციური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის, არსებობის შემთხვევაში – მისი დაცვისთვის გამოყენებული ტექნიკური საშუალებების თაობაზე, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში – ციფრული შინაარსის აპარატულ ან პროგრამულ უზრუნველყოფასთან თავსებადობის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მოვაჭრემ იცის ან უნდა სცოდნოდეს;

კ) არსებობის შემთხვევაში – ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების შესახებ.

კანონის მე-6 მუხლის თანახმად, მოვაჭრე ვალდებულია ვალდებულია უზრუნველყოს საქონელზე ან მომსახურებაზე გასაყიდი ფასისა და ერთეულის ფასის მკაფიო და გასაგები ფორმით მითითება. ერთეულის ფასის მითითება აუცილებელი არ არის, თუ იგი გასაყიდი ფასის იდენტურია.

კანონის მე-16 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი საქონელი.

კანონის მე-17 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, თუ საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდა, მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს ნაკლის აღმოფხვრა

(საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, ფასის შემცირება) ან გავიდეს ხელშეკრულებიდან. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქონლის შეკეთება და შეცვლა მომხმარებლის პირველი რიგის უფლებებია. მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს, საქონლის ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ან არათანაზომიერ ან შეუსაბამოდ დიდ ხარჯს მოითხოვს.

კანონის მე-17 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილია, რომ საქონელი შეკეთებული ან შეცვლილი უნდა იქნეს გონივრულ ვადაში. ხოლო საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა გულისხმობს მოვაჭრის მიერ ყველა ხარჯის (მათ შორის, ფოსტის, სამუშაო ძალისა და მასალების ხარჯების) გაწევას, რომლებიც საჭიროა საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

კანონის მე-20 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის განმავლობაში აღმოაჩინა, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე იგულისხმება, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, თუ, საქონლის ბუნებიდან ან ნაკლის ხასიათიდან გამომდინარე, ეს შესაძლებელია. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მოვაჭრეს ეკისრება. თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის შემდეგ აღმოაჩინა, იმის მტკიცების ტვირთი, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, მომხმარებელს ეკისრება.

საერთაშორისო კანონმდებლობა:

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის 2011/83/EC დირექტივის¹ მიზანია მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის მიღწევის გზით, შიდა ბაზრის გამართულად ფუნქციონირების ხელშეწყობა, მომხმარებლებსა და მოვაჭრეებს შორის დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების გარკვეული ასპექტების დაახლოების გზით.

¹ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის 2011/83/EC დირექტივა მომხმარებელთა უფლებების, საბჭოს 93/13/EEC დირექტივასა და ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999/44/EC დირექტივაში შესწორებების შეტანის და საბჭოს 85/577/EEC დირექტივისა და ევროპარლამენტისა და საბჭოს 97/7/EC დირექტივის გაუქმების შესახებ.

2011/83 დირექტივის მე-3 თავის მე-5 და მე-6 მუხლები შეიცავს ინფორმაციის იმ ჩამონათვალს, რომლის მიწოდებაც ევალება მოვაჭრეს მომხმარებლისთვის ხელშეკრულების დადებამდე. მე-5 მუხლით ძირითადად იმ ინფორმაციის ჩამონათვალია შემოთავაზებული, რომელიც მომხმარებელს უნდა მიეწოდოს ქუჩაში დადებული და დისტანციური ხელშეკრულებების გარდა ყველა სხვა ხელშეკრულების შემთხვევაში. ხოლო, მე-6 მუხლი კონკრეტულად დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დადებისას მომხმარებლისთვის მისაწოდებელი ინფორმაციის სრულ ჩამონათვალს მოიცავს. მართალია მე-6 მუხლი უფრო დეტალურად ასახავს, თუ რა სახის ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მომხმარებელს, მაგრამ ის მაინც ეფუძნება ძირითადად მე-5 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2011/83 დირექტივის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული მტკიცების ტვირთი მთლიანად მოვაჭრეს ეკისრება. შესაბამისად, მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, სწორედ მოვაჭრემ უნდა ამტკიცოს, რომ მან დირექტივით მასზე დაკისრებული ვალდებულება სრულად შეასრულა და მომხმარებლის ინფორმირება სათანადო დონეზე მოახდინა.

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 20 მაისის 2019/771 დირექტივის მიზანია შიდა ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებს ხელშეწობა და ამავედროულად, მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფა მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ცალკეული მოთხოვნების თაობაზე საერთო წესების დადგენით, კერძოდ, საქონლის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის თაობაზე, შეუსაბამობის შემთხვევაში მომხმარებლის დაცვის. საშუალებების, ამ საშუალებების გამოყენების გზებისა და კომერციული გარანტიების თაობაზე.²

2019/771 დირექტივის მე-13 მუხლის მიხედვით, ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს საქონლის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობაში მოყვანა ან საქონლის ფასის პროპორციული შემცირება ან გავიდეს ხელშეკრულებიდან.

აღნიშნული დირექტივის მე-11 მუხლის შესაბამისად, თუ საქონლის ნაკლი თავს იჩენს საქონლის მომხმარებლისთვის გადაცემიდან ერთი წლის განმავლობაში,

² ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 20 მაისის დირექტივა 2019/771 საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულების ცალკეული ასპექტების, 2017/2394 რეგულაციის და 2009/22/EC დირექტივის გაუქმებისა და 1999/44/EC დირექტივის ჩანაცვლების შესახებ, მუხლი 1.

იგულისხმება, რომ ის საქონლის მომხმარებლისთვის მიწოდებისას არსებობდა, თუ მოვაჭრე საწინააღმდეგოს არ დაამტკიცებს, ან თუ, საქონლის ბუნებიდან ან ნაკლის ხასიათიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელია.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილება:

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლის ამ კანონით დადგენილი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, მისი უფლებების დარღვევის პრევენციასა და დარღვეული უფლებების აღდგენის ხელშეწყობას, მომხმარებლის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და დარღვევებზე კანონით გათვალისწინებულ სათანადო რეაგირებას ახორციელებს სააგენტო.

ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტო შეისწავლის მომხმარებლის კანონით დადგენილი უფლების შესაძლო დარღვევის ისეთ ფაქტს, რომელმაც გამოიწვია ან შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევა.

საქმის შესწავლის მიზნით სააგენტო უფლებამოსილია განმცხადებლისგან ან/და მოვაჭრისგან გამოითხოვს ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალურ ინფორმაციას), რომელიც სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სჭირდება.

„საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომში - პროცედურა) მე-6 მუხლის თანახმად, სააგენტო საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იწყებს საქმის შესწავლას და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას 1 თვის ვადაში. საქმის შესწავლა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა.

თავი 3. სამოტივაციო ნაწილი

კანონის მე-5 მუხლი მოვაჭრის მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას აკისრებს შეთავაზებული საქონლისა და მომსახურების შესახებ. მომხმარებელს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ხელშეკრულების დადებასთან

დაკავშირებით გადაწყვეტილება შესაბამისი და რელევანტური ინფორმაციის საფუძველზე მიიღოს. იმის გათვალისწინებით, რომ ის ხელშეკრულების ნაკლებად დაცული მხარეა, მის კონტრაქტს, მოვაჭრეს ევალება მაქსიმალურად მოახდინოს მომხმარებლის ინფორმირება. ამ უკანასკნელს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გააჩნდეს სრული და სანდო ინფორმაცია და გადაწყვეტილება სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლასთან დაკავშირებით მიიღოს რაციონალურად, გააზრებულად და რაც ყველაზე მთავარია, საკმარისი და ამომწურავი ინფორმაციის საფუძველზე. ხელშეკრულების დადებამდე მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მას საშუალებას აძლევს გააკეთოს ე.წ. „ინფორმირებული არჩევანი“ და დაიცვას მისი ეკონომიკური ქცევა. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში საგულისხმოა ის გარემოებაც რომ ეჭვქვეშ დგება რამდენად მოქმედებს მოვაჭრე პროფესიული გულისხმიერებისა და კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად.

კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის 2011/83 დირექტივის მე-5 და მე-6 მუხლის ანალოგს წარმომადგენს, რომლის ინტერპრეტაციასაც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში ვხვდებით.

მართლმსაჯულების სასამართლო (შემდგომში - სასამართლო) გადაწყვეტილებაში C-179/21 და C-529/19 საქმეებზე განმარტავს, რომ 2011/83 დირექტივის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ვიდრე მომხმარებელი მოვაჭრის შეთავაზებით შეიბოჭება, ეს უკანასკნელი ვალდებულია მომხმარებელს ნათელი და ყოვლისმომცველი ინფორმაცია მიაწოდოს შეთავაზებული საქონლისა თუ მომსახურების შესახებ. აღნიშნული დებულების მიზანია, ხელშეკრულების დადებამდე მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის კომუნიკაციის უზრუნველყოფა როგორც ხელშეკრულების პირობებისა და ხელშეკრულების დადების შედეგების შესახებ, რაც მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს, გადაწყვიტოს, სურს თუ არა ხელშეკრულებით შეიბოჭოს, ისე ხელშეკრულების სათანადო შესრულებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შესახებ, განსაკუთრებით კი ხელშეკრულებიდან გამომდინარე მომხმარებლის უფლებებით სარგებლობის შესახებ.³

სასამართლო C-430/17 საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში ასევე განმარტავს, რომ ხელშეკრულების დადებამდე ამ ხელშეკრულების პირობებსა და მათზე დათანხმების შედეგებზე მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდება ფუნდამენტური

³ CJEU, *absoluts-bikes and more-GmbH & Co KG v the-trading-company GmbH*, C-179/21, 5 May 2022, para. 26; *Möbel Kraft GmbH & Co. KG v ML*, C-529/19, 21 October 2020, para. 26.

მნიშვნელობისაა, ვინაიდან ის სწორედ ამ ინფორმაციის საფუძველზე წყვეტს, შეიბოჭოს თუ არა სახელშეკრულებო ვალდებულებებით.⁴

იმის დასადგენად, შეესაბამება თუ არა, შპს „ლითენ თრიის“ სარეალიზაციო მაღაზიასა და კომპანიის სავაჭრო ვებგვერდზე - <https://littentree.ge/ka> ხელშეკრულების დადებამდე მომხმარებლის ინფორმირების სტანდარტი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციის მიწოდების სტანდარტს, სააგენტომ შეაფასა მოვაჭრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და ასევე, შეისწავლა მის სავაჭრო ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია.

აღსანიშნავია, რომ მოვაჭრეს სააგენტოს მიერ მრავალჯერ წერილობითი მოთხოვნის მიუხედავად არ წარმოუდგენია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ/ რა ფორმით ხდება მის სარეალიზაციო მაღაზიებში მომხმარებლის ინფორმირება კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის თაობაზე, მათ შორის შეთავაზებული საქონლის ძირითადი მახასიათებლებისა და მათი ფასის შესახებ. ვინაიდან აღნიშნულ საქმეში მომხმარებელმა საქონელი შეიძინა სარეწში (სარეალიზაციო მაღაზიაში) სააგენტოს მოთხოვნილი ინფორმაციის საფუძველზე შეეძლებოდა შეეფასებინა თუ რა სტანდარტი აქვს მოვაჭრეს მომხმარებლისთვის შეთავაზებული სარეწში ვაჭრობის შემთხვევაში.

ამასთან მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, რომ მოვაჭრეს სააგენტოს არაერთი მოთხოვნის მიუხედავად სრული სახით არ წარმოუდგენია კომპანიის სავაჭრო პოლიტიკა სარეალიზაციო მაღაზიაში მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების სტანდარტის შესახებ; ხელშეკრულებაზე უარის თქმის წესისა და პირობების ; თაობაზე

რაც შეეხება მოვაჭრის მიერ 2023 წლის 22 სექტემბერს N01/3190 წერილით სააგენტოსთვის წარმოდგენილ გაყიდვის ობიექტში საქონლის/პროდუქტის შეძენის/შეცვლის/დაბრუნების თაობაზე შემუშავებულ წესებს და პირობებს, (აღსანიშნავია რომ სრული სახით სავაჭრო პოლიტიკა არ არის წარმოდგენილი) მოვაჭრის მიერ წარმოდგენილია გასაყიდი ნივთის შეცვლის/დაბრუნების წესები, მხოლოდ ნივთის დაბრუნება/გადაცვლის ნაწილში, მოვაჭრის მიერ შეთავაზებული საქმიანობის პოლიტიკა სრულად არ შეესაბამება კანონის მე-17, მე-19 , მე-20 მუხლებს.

⁴ CJEU, *Walbusch Walter Busch GmbH & Co. KG v Centrale zur Bekämpfung unlauteren Wettbewerbs Frankfurt am Main eV*, Case C-430/17, 23 January 2019, para 36.

მოვაჭრის მიერ მოწოდებულ გაყიდვის ობიექტში საქონლის/პროდუქტის შექმნის/შეცვლის/დაბრუნების წესში (შემდგომში წესი) არ არის მითითებული კანონისმიერი გარანტიიდან გამომდინარე მომხმარებლის უფლებები, მითითებულია მხოლოდ კანონისმიერი გარანტიის ხანგრძლივობის თაობაზე ინფორმაცია .

, მოვაჭრე ვერ უზრუნველყოფს მომხმარებლის სრულად ინფორმირებას კანონისმიერი გარანტიის პირობებისა ისევე როგორც კომერციული გარანტიის პირობების შესახებ, გარდა ამისა, მომხმარებელს ასევე არ მიეწოდება ინფორმაცია საქონლის შეცვლის, შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ობიექტის დასახელების შესახებ, რაც, თავის მხრივ, წინააღმდეგობაშია კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან.

ინფორმაციის მიწოდების სტანდარტის გარდა, მოვაჭრის მიერ ასევე არ არის დაცული კანონის მოთხოვნები ნაკლის აღმოფხვრის ან/და ნივთის შეცვლის თვალსაზრისით.

კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად, თუ საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდა, მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს ნაკლის აღმოფხვრა (საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, ფასის შემცირება) ან გავიდეს ხელშეკრულებიდან.

საქმის გარემოებების შეფასების შედეგად კი დგინდება, რომ მომხმარებლის პრეტენზიებს კონკრეტული ნივთის ნაკლთან დაკავშირებით მოვაჭრე არ პასუხობს და არ რეაგირებს უფლების აღდგენის მიზნით.

კანონის მე-16 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი საქონელი. ამავე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამის საქონლად მიიჩნევა, თუ იგი შეესაბამება მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის მიწოდებულ აღწერას და მას აქვს იგივე თვისებები, რომლებიც მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის წარდგენილ საქონლის ნიმუშს ჰქონდა.

C-52/18 საქმეზე სასამართლო განმარტავს, რომ 1999/44⁵ დირექტივის მე-3 მუხლი მიზნად ისახავს სამართლიანი ბალანსის შენარჩუნებას მომხმარებლისა და მოვაჭრის ინტერესებს შორის. საქონლის შესაბამისობაზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია საქონლის ბუნების, მახასიათებლების მხედველობაში მიღება, ასევე იმ მიზნის განსაზღვრა, რა მიზნითაც მომხმარებელი იძენს კონკრეტულ საქონელს. ამავე მუხლის

⁵ შენიშვნა: აღნიშნული დირექტივა ჩანაცვლდა 2019/771 ევროკავშირისა და საბჭოს დირექტივით.

მე-3 და მე-5 პუნქტით განსაზღვრულია უფლების აღდგენის საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ შეძენილი საქონელი ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამო აღმოჩნდება.

სასამართლო განმარტავს, რომ მომხმარებელს პირველ რიგში შეუძლია საქონლის ბუნებისა და გამოყენების მიზნის შეუსაბამობის აღმოფხვრა მოითხოვოს ნივთის შეკეთებით ან შეცვლით, ხოლო თუ ნივთის შეკეთება ან შეცვლა შეუძლებელია, ან არათანაზომიერ/შეუსაბამოდ დიდ ხარჯს მოითხოვს, მომხმარებელს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა.

კანონის მე-17 მუხლი ნაკლის მქონე საქონლის გადაცემის შემთხვევაში მომხმარებლის უფლებებს ადგენს. ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თუ საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდა, მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს ნაკლის აღმოფხვრა (საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, ფასის შემცირება) ან გავიდეს ხელშეკრულებიდან.

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქონლის შეკეთება და შეცვლა მომხმარებლის პირველი რიგის უფლებებია. მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს, საქონლის ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ან არათანაზომიერ ან შეუსაბამოდ დიდ ხარჯს მოითხოვს.

კანონის ზემოაღნიშნული ჩანაწერი ზუსტად არ განსაზღვრავს ნაკლთან დაკავშირებით პრეტენზიის წარდგენისას საქონლის შეცვლის მოთხოვნის მომხმარებლის უპირობო უფლებას, ამავდროულად არ იგულისხმება მოვაჭრის უპირობო უფლება ნაკლის მქონე საქონელთან დაკავშირებით მომხმარებელს აღმოფხვრის პირველ საშუალებად ნაკლიანი საქონლის შეცვლა შესთავაზოს. ის გარემოებები, თუ რა შემთხვევაში შეუძლია მოვაჭრეს საქონლის შეცვლის ნაცვლად მომხმარებელს ნაკლის მქონე საქონლის შეკეთება შესთავაზოს ყოველი კონკრეტული შემთხვევის დადგომისას უნდა დასაბუთდეს, ისევე როგორც დასაბუთებული უნდა იყოს მოვაჭრის პოზიცია, კონკრეტულ საქონელთან მიმართებით შეკეთების უფლების გამოყენება რამდენად ჩაითვლება კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებლად. მაგალითად: თუ საქონლის ბუნებიდან გამომდინარე საქონლის ნაკლის გამოსწორება ნაკლებ ხარჯს გამოიწვევს და შეკეთების გზით საქონელი დაიბრუნებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონლის არსებით

მახასიათებლებს, შესაძლებელია, საქონლის შეკეთება ჩაითვალოს ვალდებულების შესრულებად, ისევე როგორც საქონლის ბუნებიდან გამომდინარე შესაძლოა საქონლის შეკეთების ხარჯი უთანაბრდებოდეს ან ზოგიერთ შემთხვევაში (საქონლის გათვალისწინებით) აჭარბდეს კიდევ საქონლის სრულ ღირებულებას და თავად შეცვლა ნაკლები ეკონომიკური ტვირთის მატარებელი იყოს მოვაჭრისთვის.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ შეკეთების არჩევის შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული გარანტიის პერიოდში მოვაჭრემ უნდა უზრუნველყოს ნაკლიანი საქონლის შეკეთება სასყიდლის გარეშე-უფასოდ.

კანონი ნაკლიანი საქონლის შეცვლასა და შეკეთებას შორის იერარქიას არ ადგენს და მომხმარებლის უფლებაა, არჩევანი გააკეთოს ნაკლის გამოსწორების ამ ორ საშუალებას შორის, ყოველგვარი საფასურის გარეშე.

ნაკლიან საქონელთან მიმართებით, შეცვლასა და შეკეთებას შორის იერარქია არ არის დადგენილი არც ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 20 მაისის „საქონლით ვაჭრობის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული გარკვეული ასპექტების შესახებ“ N2019/771 დირექტივით (შემდგომში - დირექტივა), რომლის დებულებების ტრანსპოზიციაც კანონში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების შესაბამისად განხორციელდა. მიუხედავად ამისა, დირექტივის პრეამბულით შემოთავაზებულია ერთგვარი გზამკვლევი ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც შესაძლოა ნაკლიანი საქონლის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შეცვლასა და შეკეთებას შორის მომხმარებლის არჩევანის შეზღუდვის საკითხი დადგეს. დირექტივის პრეამბულა საქონლის ხანგამძლეობისა და მდგრადი მოხმარების ხელშეწყობის მიზნით, ნივთის შეკეთების მნიშვნელობაზე აკეთებს აქცენტს, თუმცა, ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს მომხმარებლის უფლება, არჩევანი გააკეთოს შეცვლასა და შეკეთებას შორის, ყოველთვის შეიძლება შეიზღუდოს. პრეამბულაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მომხმარებლის არჩევანი შეცვლასა და შეკეთებას შორის მხოლოდ მაშინ უნდა შეიზღუდოს, როცა ნაკლის გამოსწორება მომხმარებლის მიერ შერჩეული საშუალებით, ფაქტობრივად ან იურიდიულად შეუძლებელია ან მოვაჭრეს იმგვარ ხარჯს აკისრებს, რომელიც არათანაზომიერია ნაკლის გამოსწორების ალტერნატიულ საშუალებასთან დაკავშირებულ ხარჯთან შედარებით.

აღსანიშნავია, რომ არათანაზომიერი ხარჯის შესაფასებლად გასათვალისწინებელი კრიტერიუმები განსაზღვრულია კანონის მე-17 მუხლის მე-8 პუნქტით, რომელიც ადგენს, რომ იმის განსაზღვრისას, თუ რამდენად არათანაზომიერია ხარჯი, მხედველობაში მიიღება შემდეგი პირობები: ა) საქონლის ან მომსახურების ფასი მისი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის შემთხვევაში; ბ) საქონლის ან მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შეუსაბამობის ხარისხი; გ) საქონლის ნაკლის მომხმარებლისთვის შეფერხების შექმნის გარეშე აღმოფხვრის ალტერნატიული შესაძლებლობა. ამგვარად, თუ საქონლის შეკეთების ხარჯი შეცვლის ღირებულებას აჭარბებს, შესაძლებელია, ნაკლის გამოსწორების მიზნით, მომხმარებლის მხრიდან შეკეთების მოთხოვნა შეიზღუდოს.

ვინაიდან, კანონის მე-17 მუხლს მე-2 პუნქტის თანახმად, საქონლის შეკეთება და შეცვლა მომხმარებლის პირველი რიგის უფლებებია და ნაკლის გამოსწორების ამ ორ საშუალებას შორის არჩევანის გაკეთების პრივილეგია სწორედ მას ეკუთვნის, თუ საქონლის ნაკლის გამოსწორების არჩეული საშუალება გაუმართლებლად დიდ ტვირთს დააკისრებს მოვაჭრეს, აღნიშნულის მტკიცების ტვირთი სწორედ მოვაჭრეს ეკისრება.

წესის მე-4 მუხლი განსაზღვრავს: *გამყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას საქონლის შეკეთებაზე/შეცვლაზე (სხვა მოდელზე ან/და იმავე მოდელზე/შეკეთებაზე) თუ დაზიანების გამოსწორების ღირებულება ერთჯერ აღემატება საქონლის ღირებულებას, ანუ აღნიშნული წარმოადგენს არათანაბარზომიერ და შეუსაბამოდ დიდ ხარჯს.* აღნიშნული ჩანაწერი არ შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოვაჭრის ვალდებულებას, ამ ფორმულირებით მოვაჭრე უარს ამბობს ნივთის როგორც შეკეთებაზე ასევე შეცვლაზე, რაც ცალსახა დარღვევად უნდა იქნეს მიჩნეული. გამომდინარე იქედან, რომ ნივთის შეკეთება/ შეცვლა მომხმარებლის პირველი რიგის უფლებებია, თუ შეკეთება შეუსაბამოდ დიდ ხარჯს გამოიწვევს, მოვაჭრემ უნდა უზრუნველჰყოს ნივთის შეცვლა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ნივთის შეცვლა იქნება მძიმე ეკონომიკური ტვირთის მატარებელი, შესაბამისი დასაბუთებით უნდა აირჩიოს ნაკლის გამოსწორების გზად შეკეთება. შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანია და არ უზრუნველჰყოფს მომხმარებლის კანონით გარანტირებული უფლების დაცვას.

რაც შეეხება მოვაჭრის მიერ საქონლის გასაყიდ ობიექტში განთავსებულ წესს, წესის მე-6 მუხლი ეხება საქონლის/პროდუქციის შეკეთების პირობებს. 6.1. პუნქტი განსაზღვრავს შემდეგს : *პროდუქციის შეკეთების მიზნით, მომხმარებელმა ინფორმაცია უნდა მიაწოდოს გამყიდველს. თუ დაზიანება არ არის შემოხსენებული საგარანტიო პირობების ფარგლებში შესაკეთებელი, გამყიდველი უფლებამოსილია აცნობოს მყიდველს დაზიანების გამოსწორების ღირებულება. მომხმარებელი*

უფლებამოსილია უარი თქვას შეკეთებაზე, თუმცა ამ შემთხვევაში, საგარანტიო მომსახურების ფარგლებში მტკიცების ტვირთი, რომ აღნიშნულმა შეკეთებამ არ გამოიწვია სხვა დაზიანება საქონელზე ეკუთვნის მყიდველს.

უპირველესად ხაზგასასმელია, რომ მოვაჭრის მიერ არ არის დეტალურად განსაზღვრული ის საგარანტიო პირობები, რომლის ფარგლებშიც იმოქმედებდა მოვაჭრე ნაკლის თაობაზე მომხმარებლის მიერ პრეტენზიის დაფიქსირების შემთხვევაში. არსებული ჩანაწერი ბუნდოვანია და მკაფიოდ გასაგები ვერ იქნება მომხმარებლისთვის ვრცელდება თუ არა კანონისმიერ გარანტიის მოქმედების პერიოდში აღმოჩენილ ნაკლზე.

3 მ-ის 2023 წლის 15 მაისის განცხადებაში აღწერილია, რომ მან ნივთის ნაკლის თაობაზე პრეტენზია კანონის მე-17 მუხლის ფარგლებში დაუფიქსირა მოვაჭრეს, თუმცა მოცემულ შემთხვევაში შპს „ლითენ თრიიმ“ არათუ საქონლის ნაკლის გამოსწორების მომხმარებლის მიერ არჩეული საშუალება გახადა სადავოდ, არამედ არანაირი წონადი მტკიცებულება არ წარმოუდგენია საქონლის ნაკლის მტკიცებასთან დაკავშირებით.

მოცემულ შემთხვევაში შესაფასებელია, ნივთი მომხმარებლისთვის გადაცემისას იყო ნაკლიანი თუ ნაკლი გამოწვეულია მომხმარებლის ბრალეულობით, ასევე გარანტიის რა პირობებს სთავაზობდა მოვაჭრე მომხმარებელს მსგავსი შემთხვევის დადგომისას.

საქმის შესწავლის ფარგლებში მოვაჭრის მიერ წარმოდგენილ 2023 წლის 25 ივლისის №01/2481 და №01/2473 წერილებში მოვაჭრე უთითებს, რომ მომხმარებელს გადაეცა შოურუმში განთავსებული ნივთი, რომელსაც შესაძლოა ჰქონოდა ხარვეზი და ეს ფაქტი გასაგები უნდა ყოფილიყო მომხმარებლისთვის და თანხის გადახდით უნდა ჩაითვალოს რომ მომხმარებლისთვის მისაღები იყო შეძენილი საქონლის მდგომარეობა. თუმცა ამ არგუმენტის გამამყარებელი მტკიცებულება მას სააგენტოში არ წარმოუდგენია. მოვაჭრის მიერ არ არის წარმოდგენილი არანაირი დოკუმენტი, მაგალითად ნივთის გადაცემის მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც განმარტებული იქნებოდა რომ მომხმარებელმა ვიზუალურად შეამოწმა ნივთი შესყიდვამდე, ინფორმირებული იყო რომ იპენდა შოურუმში განთავსებულ ე.წ. საჩვენებელ მოდელს და ნივთის მდგომარეობა შეძენამდე მისთვის სრულად მისაღები იყო.

მოვაჭრის მიერ წარმოდგენილი განმარტებები კონკრეტულ საქმის გარემოებებთან დაკავშირებით უზღუდავს მომხმარებელს უფლებას ისარგებლოს კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული უფლებებით.

ამასთან სააგენტოში წარმოდგენილი 2023 წლის 10 ოქტომბრის №01/3382 წერილით მოვაჭრე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საქმის შესწავლის ვადის გათვალისწინებით, მტკიცების ტვირთის საკითხი იცვლება და შესაბამისად ნაკლის თაობაზე მტკიცების ტვირთის პასუხისმგებლობა ეხსნება მოვაჭრეს.

საქართველოს უზენაესის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთ პალატის 2015 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებაში №ას-708-674-20158 საქმეზე საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში არსებობს მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალური და ზოგადი წესები. ზოგიერთ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის განაწილების წესები ჩამოყალიბებულია მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებში და გამოხატულია იმპერატიული ფორმით. მატერიალური კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზოგიერთ საგამონაკლისო შემთხვევებში, ფაქტების მითითების ტვირთი და დამტკიცების ტვირთი ერთმანეთს უნდა გაემიჯნოს. ეს ის საგამონაკლისო შემთხვევებია, როდესაც სამართალწარმოება ძირითადად მოწინააღმდეგე მხარის მტკიცების ტვირთი უნდა იყოს. მსგავს რეგულირებას გვთავაზობს კანონის მე-20 მუხლიც, რომლის მიხედვითაც, თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის განმავლობაში აღმოაჩინა, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე იგულისხმება, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, თუ, საქონლის ბუნებიდან ან ნაკლის ხასიათიდან გამომდინარე, ეს შესაძლებელია.

კანონის მე-20 მუხლის მიხედვით, თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის განმავლობაში აღმოაჩინა, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე იგულისხმება, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, თუ, საქონლის ბუნებიდან ან ნაკლის ხასიათიდან გამომდინარე, ეს შესაძლებელია. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მოვაჭრეს ეკისრება. შესაბამისად სწორედ მოვაჭრე - იყო ვალდებული ემტკიცებინა, მომხმარებლისთვის გადაცემული იყო ნაკლის არ მქონე ნივთი და მოვაჭრეს არ გააჩნდა დაზიანების აღმოფხვრის შესაბამისი ვალდებულება. რაც შეეხება მტკიცების ტვირთის ვადის შეცვლას, მომხმარებელმა შეძენიდან მეორე დღესვე, ნაკლის აღმოჩენისთანავე მიმართა მოვაჭრეს და შეატყობინა შეძენილი საქონლის ნაკლთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს იმას, რომ კანონის მიხედვით ნაკლთან დაკავშირებით პრეტენზიის განცხადების ვადის გათვალისწინებით აღნიშნულ შემთხვევაში სწორედ მოვაჭრე არის ვალდებული ამტკიცოს გადაცემული ნივთის უნაკლოობა.

კანონის მე-20 მუხლის დებულებით შემოთავაზებული მტკიცების ტვირთის განაწილების რეჟიმი ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019/771 დირექტივის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული რეჟიმის მსგავსია, რომელიც ქართულ ანალოგთან შედარებით უფრო მკაცრია და საქონლის ნაკლისთვის მოვაჭრეს პასუხისმგებლობას ნაკლის აღმოჩენიდან 1 წლის განმავლობაში აკისრებს. აღსანიშნავია, რომ ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999/44/EC დირექტივით, რომელიც 2019/771 დირექტივით ჩანაცვლდა, თავდაპირველი ნაკლზე პასუხისმგებლობა მოვაჭრეს სწორედ 6 თვის განმავლობაში ეკისრებოდა.

განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება, რომ განმცხადებელმა მაგიდის ნაკლი მისი შემენიდან 6 თვის განმავლობაში აღმოაჩინა. ამგვარად, ის არ იყო ვალდებული ემტკიცებინა, რომ ნივთის დაზიანება თავდაპირველ ნაკლთან იყო დაკავშირებული, ვინაიდან, კანონის თანახმად, მიიჩნევა, რომ გაყიდული ნივთის მომხმარებლისთვის გადაცემიდან 6 თვის განმავლობაში აღმოჩენილი ნაკლი საქონლის მიწოდებისას უკვე არსებობდა და საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე მასზე პასუხისმგებელია მოვაჭრე.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს კანონისმიერი გარანტიის ფარგლებში მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობა მიეცა გადაწყვეტილებაში საქმეზე *Froukje Faber v Autobedrijf Hazet Ochten BV* (C-497/13).⁶ სასამართლომ აღნიშნა, რომ ნაკლის საქონლის გადაცემიდან 6 თვის აღმოჩენის შემთხვევაში, მომხმარებელი თავისუფლდება მტკიცების ტვირთისგან, რადგან ივარაუდება, რომ ნაკლი საქონლის მიწოდებისას არსებობდა. თუმცა, იმისთვის, რომ მომხმარებელმა აღნიშნული უპირატესობით ისარგებლოს, მას ევალება ცალკეული ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები წარადგინოს. სასამართლოს განმარტების თანახმად, მომხმარებელმა პირველ რიგში, ნაკლის არსებობა უნდა დაადასტუროს, თუმცა ის არ არის ვალდებული წარადგინოს მტკიცებულებები ნაკლის გამომწვევი მიზეზების ან იმის თაობაზე, რომ ნაკლზე პასუხისმგებელია მოვაჭრე. მას შემდეგ რაც მომხმარებელი დაამტკიცებს ნაკლის არსებობას და იმას, რომ ნაკლი საქონლის მიწოდებიდან 6 თვის განმავლობაში გამოვლინდა, ის თავისუფლდება ვალდებულებისგან ამტკიცოს, რომ ნაკლი ნივთის მიწოდებისას უკვე არსებობდა. ნაკლის დროის ისეთ მცირე მონაკვეთში გამოვლენა, როგორც 6 თვეა, იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ ნივთის მომხმარებლისთვის გადაცემისას ის უკვე არსებობდა „ჩანასახის ფორმით“. შესაბამისად, მოვაჭრეა ვალდებული ამტკიცოს, რომ საქონლის ნაკლი არ არსებობდა

⁶ CJEU, *Froukje Faber v Autobedrijf Hazet Ochten BV*, C-497/13, 4 June 2015, para. 66-75.

საქონლის მომხმარებლისთვის გადაცემისას. ამისთვის მოვაჭრემ უნდა დაადასტუროს, რომ ნაკლის გამომწვევი მიზეზი ან ან მისი წარმომავლობა დაკავშირებულია მომხმარებლის კონკრეტულ ქმედებასთან ან უმოქმედობასთან მისთვის საქონლის გადაცემის შემდეგ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაასკვნა, რომ თუკი მოვაჭრე სათანადო სტანდარტით ვერ შეძლებს დაადასტუროს, რომ ნაკლის მიზეზი ან წარმომავლობა დაკავშირებულია ისეთ გარემოებებთან, რომელთაც ადგილი ჰქონდათ საქონლის მომხმარებლისთვის გადაცემის შემდეგ, ნაკლის საქონლის გადაცემისას არსებობის პრეზუმფცია მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს, ისარგებლოს კანონისმიერი გარანტიით გათვალისწინებული უფლებებით.

აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელს არ ევალება წარმოადგინოს ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც ნივთის ნაკლის წარმოშობის მიზეზს ადგენს, ვინაიდან კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მომხმარებლის მიერ საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის განმავლობაში აღმოჩენილი ნაკლი საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე საქონლის მიწოდებისას არსებულად მიიჩნევა, თუ, საქონლის ბუნებიდან ან ნაკლის ხასიათიდან გამომდინარე, ეს შესაძლებელია. დამატებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მომხმარებელმა ნივთის ჩაბარების მეორე დღესვე აღმოაჩინა ნაკლი და იმავე დღეს მიმართა მოვაჭრეს ნაკლის აღმოფხვრის მოთხოვნით.

იმ შემთხვევაში, როცა მოვაჭრის სავაჭრო პოლიტიკით სრულად განსაზღვრული არ არის საგარანტიო პირობები და ვადა, საგარანტიო ვადად უნდა ჩაითვალოს კანონით განსაზღვრული 2 წლიანი პერიოდი. კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მომხმარებელს უფლება აქვს, ისარგებლოს კანონის მე-17–მე-19 მუხლებით გათვალისწინებული უფლებებით, თუ საქონლის ნაკლი საქონლის მისთვის გადაცემიდან 2 წლის განმავლობაში აღმოჩნდა. შესაბამისად, საგარანტიო ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი მომხმარებელს აძლევს უფლებას, მოითხოვოს ნაკლის გამოსწორება.

საქმეში წარმოდგენილი მასალებით დადასტურდა, რომ მოვაჭრემ ვერ გააქარწყლა შეძენილი საქონლის ნაკლის თაობაზე მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი პრეტენზია, შესაბამისად, კანონის დებულებიდან გამომდინარე, მომხმარებელს მიენიჭა საქონლის შეცვლის/შეკეთების ან ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება.

როგორც უკვე აღინიშნა კანონი ცალსახად მიუთითებს, რომ როგორც სააგენტოს მიერ საქმის შესწავლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, ისე საქმის შესწავლის

ეტაპზე, მნიშვნელოვანია იკვეთებოდეს, რომ კონკრეტული მოვაჭრის მიერ კანონის მოთხოვნების დარღვევის შედეგად მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესს ზიანი ადგება ან შესაძლოა მიადგეს.

პროცედურის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესი გულისხმობს მომხმარებელთა ფართო წრის საერთო ინტერესს. ამ შემთხვევაში სააგენტო ითვალისწინებს იმ პოტენციურ მომხმარებელთა რაოდენობას, ვისზეც შეიძლება გავლენა იქონიოს სადავო ქმედებამ. ამასთანავე, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მომხმარებელთა ჯგუფის უფლებ(ებ)ის სავარაუდო დარღვევის ფაქტის განსაზღვრისას, ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ქმედების ხასიათი და მისი უნარი, გავლენა იქონიოს მომხმარებელთა ფართო წრეზე ან/და ზიანი მიაყენოს ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ ნებისმიერ მომხმარებელს.

მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესის (კოლექტიური ინტერესის) ცნებას საფუძველი ფრანგულ იურისპრუდენციაში ჩაეყარა, მას შემდეგ, რაც ქვეყანაში მომხმარებელთა ორგანიზაციებს ბაზრის ზედამხედველობის ფუნქცია მიენიჭათ და 1973 წელს, კანონით უფლება მიეცათ მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესები სასამართლოში დაეცვათ. საფრანგეთის უზენაესი სასამართლოს 1985 წლის გადაწყვეტილებით, 16 მომხმარებელთა ორგანიზაციებს მხოლოდ მაშინ შეეძლოთ სასამართლოში წარმომადგენლობა, თუკი სადავო ქმედება პირდაპირ ან არაპირდაპირ ზიანს აყენებდა მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესებს.

ფრანგული პრაქტიკა ევროკავშირის კანონმდებელმაც გაიზიარა. მომხმარებელთა კოლექტიური ინტერესის განმარტებას ვხვდებით ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/22/EC დირექტივაში „მომხმარებელთა ინტერესების დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მითითებების შესახებ“. დირექტივის პრეამბულის მესამე აბზაცში შემოთავაზებულია მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესის ნეგატიური განმარტება, რომლის თანახმადაც, მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესი არ გულისხმობს იმ მომხმარებელთა ინტერესების ერთობლიობას, რომელთაც დარღვევის შედეგად ზიანი მიადგათ.

მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესის ნეგატიური ევროპული განმარტება შეიცვალა ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2020/1828 დირექტივით „მომხმარებელთა კოლექტიური ინტერესების დაცვის მიზნით წარმომადგენლობითი საქმიანობისა და 2009/22/EC დირექტივის გაუქმების შესახებ“, რომელიც 2009/22/EC დირექტივას 2023 წლის ივნისიდან გააუქმებს.⁹ (EU) 2020/1828 დირექტივის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულია მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესის პოზიტიური განმარტება,

რომლის თანახმადაც, მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესი მომხმარებელთა საერთო ინტერესს გულისხმობს.

განსახილველ საქმეში მომხმარებელთა ჯგუფის ფართო წრეზე მოვაჭრის უარყოფითი გავლენის შეფასებისას მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, რა ნაწილში არ შეესაბამება მოვაჭრის საქმიანობა კანონის მოთხოვნებს. კერძოდ, სააგენტოს შეფასებით, კანონის დარღვევა გამოიხატება როგორც ინფორმაციის მიუწოდებლობაში, ასევე, სააგენტოში კ მ-ის განცხადების წარმოდგენამდე, ნაკლის მქონე ნივთის შეცვლა/შეკეთება/ დაბრუნებაზე გამოხატულ უარში. ამასთან აღსანიშნია ის გარემოება, რომ დღემდე მოვაჭრის მიერ არ მომხმდარა მომხმარებლის დარღვეული უფლების აღდგენა.

როგორც უკვე აღინიშნა, სახელმეკრულებო ურთიერთობაში შესვლამდე, მომხმარებელს უნდა მიეწოდოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია. მოვაჭრის მიერ ზემოაღნიშნული ვალდებულების დარღვევა ზიანს აყენებს არა მხოლოდ კონკრეტულ მომხმარებელს, არამედ, ნებისმიერ პოტენციურ მომხმარებელს, რომელსაც ექნება სურვილი, რომ მიიღოს შესაბამისი საქონელი მოვაჭრისგან. ამასთან, მომხმარებელთა ჯგუფის ფართო წრის ინტერესებისთვის ზიანის მიყენებას ადგილი აქვს მოვაჭრის ისეთი ქმედებებით, როდესაც მომხმარებლები ნაკლის მქონე ნივთთან დაკავშირებით მოვაჭრისგან ვერ იღებენ კანონით გათვალისწინებულ შედეგს ვერც ფაქტობრივად და არც არსებობს კანონთან შესაბამისი სავაჭრო პოლიტიკა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების შეჯერების შედეგად, სააგენტოს შეფასებით, ადგილი აქვს შპს „ლითენ თრის“ მიერ კანონის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის, მე-16 მუხლის 1-ელი პუნქტის და მე-17 მუხლის 1-4 პუნქტების დარღვევას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს შეფასებით, მაგიდის ნაკლი, რომელზეც განმცხადებელი მიუთითებს, საქონლის მიწოდებისას არსებობდა. მოვაჭრემ წარმოდგენილი მტკიცებულებებით ვერ დაადასტურა ნივთის უნაკლოობა. ამასთან, კანონისმიერი გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ, უარი განაცხადა ნაკლის აღმოფხვრაზე და გაყიდული საქონლის ხელმეკრულების პირობებთან შესაბამისობაში მოყვანაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ შპს „ლითენ თრის“ საგარანტიო პოლიტიკა გაუმართლებლად ზღუდავს მომხმარებლის კანონით გათვალისწინებულ უფლებებს, რამაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს მომხმარებელთა ფართო წრის საერთო ინტერესს.

თავი 4. სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17¹ მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის N45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე სააგენტომ:

გადაწყვიტა:

დადასტურდეს შპს „ლიტენ თრის“ (ს/ნ 405026065) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-17 მუხლის 1-4 პუნქტების დარღვევის ფაქტი.